

სს პრობუს კაპიტალი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ნაწილი	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	8
4. ფულადი სახსრები.	13
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.	13
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.	13
7. ძირითადი საშუალებები	14
8. . არამატერიალური აქტივები	14
9. . მოკლევადიანი სესხები	14
10. სავაჭრო ვალდებულებები.	15
11. მიმდინარე საგაასახადო ვალდებულებები.	15
12. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.	15
13. ამონაგები.	15
14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.	15
16. კომერციული დანახარჯები.	16
17. ადმინისტრაციული ხარჯები.	16
18. ფინანსური დანახარჯები.	16
19. ფინანსური შემოსავალი.	16
20. დადებითი საკურსო სხვაობა.	16
21. უარყოფითი საკურსო სხვაობა.	17
22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

სს პრობუს კაპიტალი კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(1 ლარი)

	შენიშვნა	2020	2019	2018
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები	4	593 088	548 732	308 466
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	89 768	248 972	33 412
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	1 171 934	655 913	144 699
სულ მიმდინარე აქტივები		1 854 790	1 453 616	486 577
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	1 068 821	1 222 566	268 538
არამატერიალური აქტივები	8	12 131	12 227	6 866
გუდვილი		-	1	5 000
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 080 952	1 234 794	280 404
სულ აქტივები		2 935 742	2 688 411	766 981
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხი	9	1 225 966	891 410	-
სავაჭრო ვალდებულებები	10	331 355	850 563	28 359
გადასახდელი პროცენტი		72 865	11 825	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	11	304	27 917	34 724
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის		-	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	68 206	31 236	9 415
ფინანსური იჯარის ვალდებულებების მიმდინარე წილი		-	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 698 695	1 812 951	72 497
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ბანკის სესხი		502 913	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		502 913	-	-
სულ ვალდებულებები		2 201 608	1 812 951	72 497
საკუთარი კაპიტალი				
რეზერვი				
სააქციო კაპიტალი		306 675	306 675	306 675
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		427 459	568 785	387 809
სულ საკუთარი კაპიტალი		734 134	875 460	694 484
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2 935 742	2 688 411	766 981

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 17 იანვარს შემდეგ პირთა მიერ:

მთ. ბუღალტერი ----- თინათინ ოთარაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს პრობუს კაპიტალი კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	13	3 162 378	1 713 227
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	14	(1 807 883)	(657 032)
საერთო მოგება		1 228 579	887 090
სხვა შემოსავალი	15	-	4 988
კომერციული დანახარჯები	16	(48 730)	(58 083)
ადმინისტრაციული ხარჯები	17	(1 079 576)	(664 558)
სხვა ხარჯები		-	-
დადებითი საკუროსო სხვაობა	20	447 057	32 423
ფინანსური შემოსავალი	19	53 063	12 456
უარყოფითი საკუროსო სხვაობა	21	(662 001)	(12 208)
ფინანსური დანახარჯები	18	(205 638)	(85 867)
მოგება დაბეგვრამდე		(141 328)	180 978
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის მოგება		(141 328)	180 978
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		(198 981)	(20 031)
დივიდენდები		-	-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		(141 328)	180 978

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 17 იანვარს შემდეგ პირთა მიერ:

მთ. ბუღალტერი ----- თინათინ ოთარაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს პრობუს კაპიტალი კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2019	306 675	387 809	-	694 484
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	180 978	-	180 978
დივიდენდის განაწილება		-		-
ნაშთი 1 იანვარი 2020	306 675	568 787	-	875 462
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(141 328)	-	(141 328)
დივიდენდის განაწილება		-		-
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	306 675	427 459	-	734 134

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 17 იანვარს შემდეგ პირთა მიერ:

მთ. ბუღალტერი ----- თინათინ ოთარაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს პრობუს კაპიტალი კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	2 329 178	1 782 015
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(2 544 087)	(1 811 288)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(203 579)	(132 784)
გადახდილი გადასახადი	(189 204)	(449 639)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები (საბანკო ხარჯები)	(17 422)	(11 231)
გადახდილი პროცენტები	(21 826)	(37 500)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	(646 942)	(660 427)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების დაფარვა/აღება	636 991	902 680
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა	-	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	636 991	902 680
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ფინანსურ ინსტრუმენტებზე	54 308	(1 987)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	44 357	240 266
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	548 732	308 466
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	593 088	548 732

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 17 იანვარს შემდეგ პირთა მიერ:

მთ. ბუღალტერი ----- თინათინ ოთარაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს პრობუს კაპიტალი კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

სს პრობუს კაპიტალი (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2015 წლის 31 დეკემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404506245, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ამაღლების ქ., N 36. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის ძირითადი მეწილეები არიან:

კომპანიის აქციონერები არიან საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირები

კომპანიის დირექტორია მიხეილ ჯაფარიძე, პ/ნ 01003014546.

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: სესხის გაცემა და მმართველობითი მომსახურება.

კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰყავს შვილი კომპანიები:

შპს სი-ქეი-ჯი, ს/კ 404531967- წილობრივი მონაწილეობა -100%;

შპს ნეოტერა, ს/კ 404550268- წილობრივი მონაწილეობა -100%;

შპს ინიციო, ს/კ 404550286- წილობრივი მონაწილეობა -100%;

შპს ბი-ემ-ჯი, ს/კ 404583982- წილობრივი მონაწილეობა -50%;

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მეოთხე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

სს პრობუს კაპიტალი კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3.გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

სს პრობუს კაპიტალი კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური

იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივებისათვის გარდა შენობების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა დანადგარები - 5 წელი;

ძალოვანი მოწყობილობები - 10 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-10 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

სს პრობუს კაპიტალი კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით ამორტიზდება 10%-ით;

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2020 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი საგალუტო კურსები

სს პრობუს კაპიტალი კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური
გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

4. ფულადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2020	2019	2018
ნაღდი ფული საღაროში	10 948	15 300	12 550
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	452 559	353 576	273 901
აშშ დოლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	16 617	178 717	21 918
ევროები დოლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	112 963	1 140	98
სულ	593 088	548 731	308 466

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2020	2019	2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	58 479	33 266	16 552
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	485	-	1 472
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	30 133	136 495	-
წინასწარ გადახდილი გადასახადი	672	79 211	14 892
მოთხოვნები გაცემული სესხიდან	-	-	495
სულ	89 768	248 972	33 412

2020 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელო
მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე
რომლის მიღებასაც კომპანიის მოელის წინასწარ განსაზღვრული ვადებში.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

31.12.2020 წ. მდგომარეობით, კომპანიის სასაქონლო მატერიალური ფასეულობებს
წარმოადგენს ბრენდული ტანსაცმელი.

სს პრობუს კაპიტალი კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

7. ძირითადი საშუალებები

	აგეჯი	ელექტროგადამცემის საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	სხვა ამორტიზირებადი ძირ.საშ.	სატრანსპორტო საშუალებები	მცირეფასიანი ძირ.საშ.	სულ
ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბერი	268 271	-	39 028	45 389	-	-	352 688
შემოსვლა	396 923	-	37 943	136 749	-	-	571 616
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	869 185	24 718	131 522	390 687	-	-	1 416 112
შემოსვლა	45 715	195	4 144	28 081	-	-	78 136
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	914 900	24 913	135 666	418 769	-	-	1 494 248
დაგროვილი ცვეთა							
ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბერი	(67 575)	-	(9 151)	(7 803)	-	-	(84 529)
ცვეთის ხარჯი	(76 082)	-	(9 481)	(10 957)	-	-	(96 521)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	(152 076)	(650)	(19 043)	(21 778)	-	-	(193 547)
ცვეთის ხარჯი	(126 806)	(4 983)	(16 795)	(83 297)	-	-	(231 881)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	(278 881)	(5 632)	(35 838)	(105 075)	-	-	(425 427)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბერი	200 696	-	29 877	37 586	-	-	268 159
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	717 109	24 068	112 479	368 909	-	-	1 222 565
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	636 019	19 281	99 828	313 693	-	-	1 068 821

8. . არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას.

9. . მოკლევადიანი სესხები

კომპანიას სესხი აღებული აქვს საქართველოს რეზიდენტი კომპანიისაგან რომელიც არ წარმოადგენს ფინანსურ ინსტიტუტს.

სს პრობუს კაპიტალი კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

10. სავაჭრო ვალდებულებები.

	2020	2019	2018
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმ.ვალდებულება	331 355	850 563	28 358
სულ	331 355	850 563	28 358

11. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები.

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები შედგება დეკემბრის დეკლარაციით წარმოქმნილი გადასახადით, რომლის გადახდის ვალდებულება ჯერ არ დამდგარა.

12. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.

	2020	2019	2018
სხვა ვალდებულებები დამფუძნებლების წინაშე	3 495	3 337	2 211
გადაახდელი ხელფასები თანამშრომლებზე	64 710	27 898	7 205
სულ	68 205	31 235	9 416

13. ამონაგები.

კომპანიის ამონაგები შედგება ბრენდული ტანსაცმლის რეალიზაციიდან მიღებული ან/და მისაღები თანხიდან:

	2020	2019
საქონლის რეალიზაცია	3 090 290	1 668 547
სხვა რეალიზაცია	72 088	44 680
სულ	3 162 378	1 713 227

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს რეალიზებულ საქონელზე გაწეულ დანახარჯებს.

სს პრობუს კაპიტალი კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

16. კომერციული დანახარჯები.

	2020	2019
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	457	1 128
მიწოდების სხვა ხარჯები	48 273	56 955
სულ	48 730	58 083

17. ადმინისტრაციული ხარჯები.

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	261 967	169 589
საიჯარო ქირა	326 747	195 472
ელექტროენერგიის ხარჯები	6 939	3 477
საოფისე და საწარმოო ინვენტარის ხარჯი	6 162	97
საკანცელარიო ხარჯი	1 753	1 198
კომპიუტერის ხარჯები	97	21
კომუნიკაციის ხარჯები	5 285	2 867
დაზღვევა	8 079	2 819
საკონსულტაციო ხარჯები	14 832	4 407
ძირითადი საშუალების ცვეთა	233 249	109 908
ქონების გადასახადი და სხვა საგადასახადო ხარჯი	8 288	7 825
საბანკო ხარჯები	34 432	22 827
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	168 741	104 889
სულ	1 079 577	664 558

18. ფინანსური დანახარჯები.

	2020	2019
საპროცენტო ხარჯები	203 634	85 085
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	2 004	782
სულ	205 638	85 867

19. ფინანსური შემოსავალი.

	2020	2019
საპროცენტო შემოსავლები	3 937	5 234
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	49 126	7 222
სულ	53 063	12 457

20. დადებითი საკურსო სხვაობა.

	2020	2019
საბანკო ანგარიშების	146 679	13 766
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხები	186 102	5 439
ვალუტაში აღრიცხული კრედიტორული დავალიანება	114 276	13 218
სულ	447 057	32 424

სს პრობუს კაპიტალი კონსოლიდირებული
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
 (ლარში)

21. უარყოფითი საკურსო სხვაობა.

	2020	2019
საბანკო ანგარიშების	89 160	6 601
მოკლევადიან სესხი	532 025	5 526
სულ	662 001	12 209

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება


წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 17 იანვარს.

სს პრობუს კაპიტალი კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგებას ანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით
(ლარი)

	შენიშვნა	2020	2019	2018
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები	4	593 088	548 732	308 466
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	89 768	248 972	33 412
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	1 171 934	655 913	144 699
სულ მიმდინარე აქტივები		1 854 790	1 453 616	486 577
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	1 068 821	1 222 566	268 538
არამატერიალური აქტივები	8	12 131	12 227	6 866
გუდვილი		-	1	5 000
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 080 952	1 234 794	280 404
სულ აქტივები		2 935 742	2 688 411	766 981
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხი	9	1 225 966	891 410	-
სავაჭრო ვალდებულებები	10	331 355	850 563	28 359
გადასახდელი პროცენტი		72 865	11 825	-
მიმდინარე საგადასახდო ვალდებულება	11	304	27 917	34 724
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის		-	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	68 206	31 236	9 415
ფინანსური იჯარის ვალდებულებების მიმდინარე წილი		-	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 698 695	1 812 951	72 497
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ბანკის სესხი		502 913	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		502 913	-	-
სულ ვალდებულებები		2 201 608	1 812 951	72 497
საკუთარი კაპიტალი				
რეზერვი				
სააქციო კაპიტალი		306 675	306 675	306 675
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		427 459	568 785	387 809
სულ საკუთარი კაპიტალი		734 134	875 460	694 484
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2 935 742	2 688 411	766 981

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 17 იანვარს შემდეგ პირთა მიერ:

მთ. ბუღალტერი  თინათინ ოთარაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.


სს პრობუს კაპიტალი კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგებას ანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(ლარი)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	13	3 162 378	1 713 227
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	14	(1 807 883)	(657 032)
საერთო მოგება		1 228 579	887 090
სხვა შემოსავალი	15	-	4 988
კომერციული დანახარჯები	16	(48 730)	(58 083)
ადმინისტრაციული ხარჯები	17	(1 079 576)	(664 558)
სხვა ხარჯები		-	-
დადებითი საკურსო სხვაობა	20	447 057	32 423
ფინანსური შემოსავალი	19	53 063	12 456
უარყოფითი საკურსო სხვაობა	21	(662 001)	(12 208)
ფინანსური დანახარჯები	18	(205 638)	(85 867)
მოგება დაბეგვრამდე		(141 328)	180 978
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის მოგება		(141 328)	180 978
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		(198 981)	(20 031)
დივიდენდები		-	-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		(141 328)	180 978

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 17 იანვარს შემდეგ პირთა მიერ:

მთ. ბუღალტერი



თინათინ ოთარაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-7 და 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.


სს კრობუს კაპიტალი კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგებას ანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(ლარი)

	საწყისი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2019	306 675	387 809	-	694 484
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	180 978	-	180 978
დივიდენდის განაწილება	-	-	-	-
ნაშთი 1 იანვარი 2020	306 675	568 787	-	875 462
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(141 328)	-	(141 328)
დივიდენდის განაწილება	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	306 675	427 459	-	734 134

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 17 იანვარს შემდეგ პირთა მიერ:

მთ. ბუღალტერი



თინათინ ოთარაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს პრობუს კაპიტალი კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგებას ანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარიში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	2 329 178	1 782 015
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(2 544 087)	(1 811 288)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(203 579)	(132 784)
გადახდილი გადასახადი	(189 204)	(449 639)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები (საბანკო ხარჯები)	(17 422)	(11 231)
გადახდილი პროცენტები	(21 826)	(37 500)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	(646 942)	(660 427)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების დაფარვა/აღება	636 991	902 680
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა	-	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	636 991	902 680
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	54 308	(1 987)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	44 357	240 266
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	548 732	308 466
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	593 088	548 732

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 17 იანვარს შემდეგ პირთა მიერ:

მთ. ბუღალტერი

თინათინ ოთარაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.